საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/163

ქ. ბათუმი 18 ოქტომბერი, 2019 წ.

2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მ. გიორგაძის 2019 წლის 17 ოქტომბრის MES 5 19 01405367, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ნატო ზოსიძის 2019 წლის 15 ოქტომბრის MES 7 19 01393039, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, ვ. ღლონტის 2019 წლის 15 ოქტომბრის MES 5 19 01392399, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ რ. ბერიძის 2019 წლის 15 ოქტომბრის MES 1 19 01392809, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ლ. თურმანიძის 2019 წლის 15 ოქტომბრის MES 5 19 01392939, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, თ. ვარშანიძის 2019 წლის 16 ოქტომბრის MES 5 19 01395936 და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, გაიოზ ფარცხალაძის 2019 წლის 15 ოქტომბრის MES 0 19 01387679 მოხსენებით ბარათთა საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად დანართ-1-ის შესაბამისად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა 2019 წლის 21 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში (სამდივნოში) უნდა წარადგინონ:

   ა) საკონკურსო დოკუმენტაცია (შედგენილი წინამდებარე ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად);

   ბ) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად);

გ) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV) (შედგენილი წინამდებარე ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად);

დ) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

ე) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო გარათის დამოწმებული ასლი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში ,,საშუალო შეწონილი'' ფურმულით კონკურსის მიღებული 91 ქულის და მეტის მითითებით);

ვ) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირისაგან (რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას);

ზ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პულიკაციის დედანი ან დამოწმებულ ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსება კონკურსიდან) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია;

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით;

გ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

დ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები(მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია).

4. კონკურსი ჩატარდეს 2019 წლის 4 ნოემბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით.

5. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების სტიპენდიების დანიშვნის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცეს არაუგვიანეს 2019 წლის 10 ნოემბრისა.

6. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს სტუდენტების სტუდენტური პორტალის მეშვეობით ინფორმირება.

7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N01-02/163 ბრძანების დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფაკულტეტო სტიპენდიები, რომლებზეც ცხადდება კონკურსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. როლანდ კომახიძის სახელობის;
2. პროფ.აბელ სურგულაძის სახელობის.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. დავით ხახუტაიშვილის სახელობის;
2. სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. აკად. მემედ კომახიძის სახელობის;
2. დოც. ვლადიმერ ქემხაძის სახელობის;
3. დოც. ოთარ ახვლედიანის სახელობის.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. აკად. დურსუნ ბალაძის სახელობის;
2. ხუსეინ ხალვაშის სახელობის;
3. სილოვან დადუნაშვილის სახელობის;
4. გულო აღა კაიკაციშვილის სახელობის.

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. სერგო ჯორბენაძის სახელობის;
2. ტბელ აბუსელიძის სახელობის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. ვალერიან მელქაძის სახელობის;
2. პროფესორ გივი გამსახურდიას სახელობის.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის

1. პროფ. ვახტანგ პაპუნიძის სახელობის.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

1. ნიკო ნიკოლაძის სახელობის;
2. აკად. ლევან ყანჩაველის სახელობის.

ტურიზმის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისთვის

1. ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტებისთვის

1. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის.

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N01-02/163 ბრძანების დანართი N2

საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა

	საკონკურსო დოკუმენტები	ეგზემპლართა რაოდენობა	დოკუმენტის ნოტარიული დამოწმება
1	სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);	1	*არ არის სავალდებულო*
2	სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერტიფიკატ(ებ)ის და სხვ. ასლ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	1	*სავალდებულოა*
3	პირადობის მოწმობის ასლი	1	*არ არის სავალდებულო*
4	ცნობა სტუდენტის სტატუსის და აკადემიური მოსწრების შესახებ	1	*არ არის სავალდებულო*
5	გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის/პუბლიკაციების ასლები (გამოქვეყნების ადგილის მონაცემების მითითებით)	1	*სავალდებულო*
6	სარეკომენდაციო წერილი	1	*არ არის სავალდებულო*
7	ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათში „საშუალო შეწონილი" ფურმულით მიღებული„ქულების'' მითითებით)	1	*არ არის სავალდებულო*

შენიშვნა: მე-2 და მე-5 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია ღონისძიება ჩატარდა ბსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში, არ არის სავალდებულო მისი ნოტარიულად დამოწმება (კონკურსის დასრულებისა და რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, სტუდენტს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები).

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N01-02/163ბრძანების დანართი N3

ბსუ-ს სტუდენტის განცხადება სახელობითი სტიპენდიის მოპოვების მიზნით
კონკურსში მონაწილეობის შესახებ

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	ფაკულტეტი	
3.	სწავლების საფეხური	
4.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	

გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს, მსურს მონაწილეობა მივიღო
1 ----------2----------
----------3----------
----------სახელობითი სტიპენდიის
მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება და შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:
1) პირადობის მოწმობის ასლი;
2) ცნობა სტუდენტის სტატუსის/აკადემიური მოსწრების შესახებ (სასწავლო ბარათი „საშუალო შეწონილი" ფორმულით მიღებული ქულებით);
3) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);
4) გამოქვეყნებული ნაშრომების/პუბლიკაციის ასლები ---- ფურცელი;
5) სარეკომენდაციო წერილი;
6) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი და სხვ. დედანი / ნოტარიულად დამოწმებულ ასლი ----- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ/არასწორ მონაცემებს. ამასთანავე, **თანხმობას ვაცხადებ:** ა) ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები გამოცხადებული კონკურსისა და კონკურსის ჩატარების წესის მოთხოვნათა აღსრულების მიზნით; ბ) ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა; გ) შევასრულო **ბსუ-ს** სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის მოთხოვნები.

_____ ----------

განმცხადებლის ხელმოწერა:
თარიღი:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N01-02/163ბრძანების დანართი N4

კონკურსანტის ავტობიოგრაფიის (CV) ნიმუში

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	ბსუ-ში ჩარიცხვის წელი	
5.	სწავლების საფეხური,	
6.	სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა:	
7.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):	
9.	ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა:	

10. მიღებული შეფასებები სემესტრების მიხედვით:

№	სემესტრი	სასწავლო კურსი	შეფასება	შენიშვნა
1				
2				

11. პუბლიკაციების რაოდენობა: ——————, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ——————, ——————— (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

12. პუბლიკაციების ჩამონათვალი:

№	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა და გამოცემის წელი	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)	თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1				
2				

13. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა (მოხსენების სათაური და სხვა)	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

14. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ: ----------

_____ ----------

კონკურსანტის ხელმოწერა: თარიღი: